

**რუსეთის მონაწილეობა საქართველოს სამშვიდობო
ხელშეკრულებებსა და პირველი არხის მოლაპარაკებებში**

ნინო ციხისთავი- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ)
ხუციშვილი დოქტორანტი, კონფლიქტების და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი
E-mail: ninatsikhistavi@iccn.ge

*წარმოადგინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის კონფლიქტო-
ლოგიის და მშვიდობის ინსტიტუტმა*

აბსტრაქტი. წინამდებარე სტატიაში მოცემულია 1990-2008 წლებში დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებსა და პირველი არხის (ოფიციალურ) მოლაპარაკებებში რუსეთის მონაწილეობის, გავლენისა და როლის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი.

ნაშრომში შემოთავაზებულია სამშვიდობო ხელშეკრულებების შესწავლა-შეფასების თანამედროვე მეცნიერული მიდგომები და ჩამოყალიბებულია მსჯელობა, როგორ უნდა შევავსოთ სამშვიდობო ხელშეკრულებათა მასივი, რომელიც შემუშავდა საქართველოს სამშვიდობო პროცესებში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისთვის. კვლევაში გაანალიზებულია რუსეთის მონაწილეობა, როლი და ადგილი როგორც საქართველოს სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესში, ისე მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებში. რუსეთის მონაწილეობა შეფასდა, როგორც მრავალროლოვანი და მრავალფუნქციური დომინანტა და ასიმეტრიული ძალაუფლება, რომელმაც შეზღუდა და შეაფერხა საქართველოს სამშვიდობო პროცესები და კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობები; გააძლიერა რუსეთის ბერკეტები რეგიონულ და საერთაშორისო არენაზე. ნაშრომი ღირებულია დარგის სპეციალისტებისა და ხელისუფლების იმ წარმომადგენელთათვის, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოს სამშვიდობო პროცესთან.

საკვანძო სიტყვები: სამშვიდობო პროცესი, კონფლიქტების მოგვარება, სამშვიდობო მოლაპარაკებები, სამშვიდობო ხელშეკრულებები, მედიატორი.

შესავალი

სამშვიდობო პროცესი მოიცავს იმგვარ ინიციატივებს, რომლებიც კონფლიქტის მხარეებს დაეხმარება შეთანხმების მიღწევასა და მათ შესრულებაში, რათა დასრულდეს შეიარაღებული კონფლიქტი და საფუძველი შეიქმნას ახალი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის. სამშვიდობო პროცესში მშვიდობის დასამყარებელი საქმიანობა სამი მიმართულებით ხორციელდება: ხელისუფლების წარმომადგენელთა სამშვიდობო ინიციატივები, დიპლომატების (მესამე, ნეიტრალური მხარის) მონაწილეობით გამართული პირველი არხის (ოფიციალური) მოლაპარაკებები და პრაქტიკოსი მშვიდობისმშენებლების სამოქალაქო აქტივობები ნდობის აღდგენის მექანიზმების გამოყენებით. სწორედ ამ სამი მიმართულების ერთობლივი, აკუმულირებული შედეგი არის სამშვიდობო პროცესი და მყარი საფუძველი მდგრადი მშვიდობის მისაღწევად [1, 2, 3].

2008 წლამდე მოქმედი საქართველოს სამშვიდობო პროცესი ფორმალურად, ორი მიმართულებით იყოფოდა: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური. ოფიციალური მოლაპარაკებები, რომლებშიც საქართველო ორივე მიმართულებით მონაწილეობდა, „მესამე ნეიტრალური მხარის“ (გაერო, ეუთო) ეგიდითა და ორგანიზებით ხორციელდებოდა. შესაბამისად, გაერო-ს კომპეტენცია (მედიაცია, ფასილიტაცია, სადამკვირვებლო საქმიანობა) იყო ქართულ-აფხაზური მიმართულება. ხოლო ეუთო-ს საქმიანობა (მედიაცია, ფასილიტაცია, სადამკვირვებლო საქმიანობა) კი ქართულ-ოსურ მიმართულებას ფარავდა. 2008 წლამდე გაერო-სა და ეუთო-ს მიერ განხორციელებულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში შემუშავდა წინადადებები, რომლებიც საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებებში აისახა. 2008 წლის შემდეგ შეცვლილმა საერთაშორისო მიდგომამ (2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიანი შეთანხმება) გააუქმა მანამდე არსებული ყველა ფორმატი. ახალ ფორმატში, სადაც ყველა მხარე ერთად მონაწილეობს, შეთანხმებული საკითხები რაიმე სახის წერილობით დოკუმენტად აღარ ჩამოყალიბებულა.

1990-2008 წწ. განხორციელებულ საქართველოს სამშვიდობო პროცესში რუსეთი სხვადასხვაგვარად მონაწილეობს და, უმეტეს შემთხვევაში, რამდენიმე ფუნქციას ერთდროულად ასრულებს. ეს მდგომარეობა კარგად ჩანს სამშვიდობო ხელშეკრულებათა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად. რუსეთის მონაწილეობა ორივე, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მიმართულებით, არა მარტო მრავალფუნქციური, არამედ, ხშირად, ერთმანეთის გამომრიცხავი როლით ვლინდება. მაგალითად, მესამე ნეიტრალური მხარის როლში, რუსეთი, ფასილიტაციის პროცესს წარმართავდა და, იმავდროულად, მოლაპარაკებისას წარმოადგენდა კონფლიქტის მონაწილე მხარეს. კონფლიქტების მოგვარების თეორიაში მკაფიოდაა განსაზღვრული მესამე მხარის მიუკერძოებლობის პრინციპი, ჩამოყალიბებული და გაზიარებულია მისი ქცევის კოდექსი და კონფლიქტის მხარეთა მიმართ მისი ნეიტრალური დამოკიდებულების აუცილებლობა. საქართველოს სამშვიდობო პროცესებში რუსეთის მრავალროლიანი და მრავალფუნქციური მონაწილეობა აშკარად იკვეთება სამშვიდობო ხელშეკრულებებში. ასეთი მდგომარეობა, თავისთავად, კონფლიქტურია და რუსეთს, საქართველოსთან მიმართებით, არათანაბარ, ასიმეტრიულ ძალაუფლებას ანიჭებს, რაც მოლაპარაკებათა შედეგების თავისუფალი ინტერპრეტაციისა და შეუთანხმებელი, ცალმხრივი ქმედებების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურის მიმოხილვა

გასული საუკუნის 60-იან წლებში სამშვიდობო ხელშეკრულების რაობა გაგებული იყო, როგორც სამშვიდობო შეთანხმება, რომელსაც მრავალი იზიარებს, თუ კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე არა [4].

დრაჟენ პეჰარმა გამოავლინა სამშვიდობო ხელშეკრულებათა გაგების ორაზროვნების პრობლემა და კლასიკური ენობრივი ტიპოლოგიის ანალოგიით ისინი გამოხატვის, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ფუნქციით განიხილა. მოგვიანებით, გაერო-მ ხელი შეუწყო სამშვიდობო ხელშეკრულებათა საერთაშორისო სტანდარტიზაციის პროცესს, რომელიც ემყარება რა კონფლიქტის მოგვარების თანამედროვე პრინციპებს, აყალიბებს რეკომენდაციათა სერიას მოლაპარაკებების, სამშვიდობო ხელშეკრულებებისა და გაერო-ს უშიშროების საბჭოსთვის [5, 6].

მკვლევართა ნაწილი მიუთითებს იმ სირთულეზე, რომელსაც ვხვდებით სამშვიდობო ხელშეკრულებების მისაღებად შექმნილ სამშვიდობო პროცესში ისევე, როგორც სამშვიდობო ხელშეკრულებების განხორციელებისას. დენიელ დრაქმენი, კონფლიქტების მოგვარებისას მოლაპარაკების პროცესის საკვანძო საკითხად სისტემურ და მესამე მხარის კონფლიქტში ჩარევას აყენებს. დრაქმენის მიხედვით, სისტემური ჩარევა მოიცავს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკას, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკების თანმდევაა. მესამე მხარის ჩარევაში (შუამავლობა, მედიაცია) ავტორი გულისხმობს კონფლიქტის მხარეთა და მონაწილეთათვის მისაღები შეთანხმების მიღწევას მოლაპარაკებების გზით და მიმართულია მხარეთა მიდგომებისა და აღქმის ცვლილებებსა და ტრანსფორმაციისაკენ [7, 8, 9].

მესამე მხარის, მედიატორის, მიუკერძოებლობა მხარეთა მიმართ მედიაციის პროცესის მთავარი წინაპირობაა. რონალდ ფიშერის მიხედვით, „მესამე ნეიტრალური მხარე, ხშირ შემთხვევაში, ნდობის ერთადერთი საფუძველია დაპირისპირებულ მხარეთათვის, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მხოლოდ ეჭვს იჩენენ“. ამიტომ, შუამავლის ნეიტრალურობა მოლაპარაკების პროცესისა და შედეგისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. კონფლიქტების მოგვარების თეორიაში, მოლაპარაკების მაგიდასთან მონაწილეთა ძალაუფლების ბალანსი ეფექტიანი მედიაციის საფუძველია. მოლაპარაკების პროცესის მონაწილეთა ასიმეტრიული ძალაუფლების შემთხვევაში მესამე ნეიტრალური მხარისა და შესაძლო შეთანხმების მიღების ალბათობა ძალიან დაბალია. ასეთი შეთანხმების მაგალითია 2008 წლის 6-პუნქტიანი სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც თავისი ფორმით სრულიად განსხვავდება წინა წლების სამშვიდობო ხელშეკრულებებისგან. 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთმა თავისი ხელმოწერით მედიატორის ფუნქცია ცალმხრივად, რომელიმე მხარის აღიარების გარეშე გამოაცხადა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელმოწერა დოკუმენტზე დარჩა მხოლოდ როგორც ერთი მხარის (რუსეთის) ხელმოწერა. აღნიშნულ სამგვერდიან კომპილირებულ დოკუმენტზე საქართველო-ევროკავშირი ცალკე გვერდზე აწერენ ხელს, ხოლო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი - ცალკე, მესამე გვერდზე. ეს გვიჩვენებს, რომ 2008 წლამდე რუსეთის მრავალი როლითა და ფორმით მოლაპარაკების ყველა

ფორმატში მონაწილეობამ კონფლიქტის მხარეებზე, სავარაუდოდ, უარყოფითი გავლენა იქონია და, 2008 წლის შეთანხმებისას, რომელსაც სარკოზი ბროკერობდა, რუსეთის „შუამავლობის“ გაგრძელების სურვილი აღარ არსებობდა. ხელმომწერთა როლისა და ფუნქციის ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა ნეგატიურად აისახა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებზე (Geneva International Discussions (GID)), რომელიც, საქართველოს ოფიციალური პირების შეფასებით, დაბალი ეფექტით, თითქმის ფორმალურად გრძელდება. ცხადია, რომ მიმდინარე მოლაპარაკებათა არაეფექტიანობა, სხვასთან ერთად, დოკუმენტის ხელმომწერთა ჰეტეროგენულმა როლებმაც განაპირობა [10, 11].

1990-2008 წწ. საქართველოს სამშვიდობო მოლაპარაკებებში, როგორც კონფლიქტის, ასევე მესამე ნეიტრალური მხარეც მონაწილეობდა. მოლაპარაკებებში რუსეთის ნეგატიურ როლსა და გავლენაზე მრავალი პოლიტიკური განცხადების მიუხედავად, მწირია სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესის, მონაწილეთა როლებისა და მათი გავლენის მეცნიერული შეფასებები [12].

ფრიჩოვა გრონო ევროკავშირისა და ევროპის სტრუქტურების საქართველოს კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობის შეფასებისას, ანალიზებს რუსეთის როლს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. სამშვიდობო ხელშეკრულებებზე დაყრდნობით, ავტორი, რუსეთის როლსა და ადგილს მხოლოდ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობათა პრიზმაში განიხილავს [13].

ჰოკი, სულიმანოვი და ბარანევი ქართულ-ოსური კონფლიქტის ტრანსფორმაციაში რუსეთის როლის შეფასებისას, მიუთითებენ რუსეთის მრავალფუნქციურ მონაწილეობაზე ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებში, სადაც რუსეთის როლი აღწერილი აქვთ, როგორც მისი სტრატეგიული ეროვნული ინტერესი, გეოპოლიტიკური ზეგავლენა მოახდინოს საქართველოსა და, მთლიანად სამხრეთ კავკასიაზე. რუსეთის როლის შეფასებისას ავტორები ეყრდნობიან სამშვიდობო ხელშეკრულებათა რამდენიმე დოკუმენტს, თუმცა მათი სრული რაოდენობა კვლევაში განხილული არ არის [14].

სამშვიდობო ხელშეკრულებების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სხვადასხვა მეთოდოლოგიით ტარდება.

უფსალას უნივერსიტეტის მეთოდოლოგია საფუძვლად იყენებს „ფაქტივას“ ელექტრონულ პროგრამას. უნივერსიტეტს, მათ შორის, ოცამდე საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულება აქვს შეგროვილი, რაც არ იძლევა საშუალებას, სრულად გაანალიზდეს სამშვიდობო მოლაპარაკებები და შეფასდეს მოლაპარაკების მონაწილეთა როლები [15, 16].

დაწყებული 1990-იანი წლებიდან, რუსეთი საქართველოს კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო პროცესის მოლაპარაკებათა ყველა ფორმატში სხვადასხვა როლითა და ფუნქციით აქტიურად მონაწილეობს და ეს მდგომარეობა დღესაც გრძელდება. მაგალითად, მიუხედავად თვითმინიჭებული „შუამავლის“ როლისა, რომელზეც რუსეთი 2008 წლის ხელშეკრულებას აწერს ხელს, საქართველო მას კონფლიქტის მხარედ განიხილავს. ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიშში, სხვასთან ერთად, მოყვანილია რუსეთის პოზიცია საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთმა თავის საომარ ქმედებას საქართველოში „მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაცია“ უწოდა, მაშინ, როდესაც საქართველო ამას „აგრესიად“ აფასებს [17].

კვლევის საგანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის საგანი სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად შემუშავებული, სამშვიდობო პროცესის მონაწილეთა მიერ 1990-2008 წლებში მიღებული და ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულებებია. აღნიშნული დოკუმენტები შემუშავდა მოლაპარაკებათა ოფიციალურ ფორმატებში, სადაც კონფლიქტის მხარეთა სახელისუფლებო წარმომადგენლები და მესამე ნეიტრალური მხარის დიპლომატები მონაწილეობდნენ. ეს დოკუმენტები ხელმოწერილია მოლაპარაკებების მონაწილე მხარეთა წარმომადგენლების მიერ და ხელმისაწვდომია პუბლიკაციებში, სახელმწიფო და კერძო არქივებში.

კვლევაში გამოყენებულია ჰოლისტიკური და ემპირიული მიდგომა, გაერთიანებულია არსებული თეორიული მცდელობები სამშვიდობო ხელშეკრულებათა ზოგადი განმარტების შესამუშავებლად.

კვლევაში სამშვიდობო ხელშეკრულებად განხილულია ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი, კონტრაქტი, რომელიც ხელმოწერილია კონფლიქტის

მონაწილე ორი ან მეტი მხარის მიერ, ხელს უწყობს და გულისხმობს ძალადობრივი კონფლიქტის მოგვარებას ან ტრანსფორმაციას მშვიდობის მიმართულებით [18].


საკვლევი მასალის წყაროდ გამოყენებულია თამაზ დიასამიძის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების კოლექცია, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის საარქივო მასალა და სამშვიდობო ხელშეკრულებათა კოლექცია, აგრეთვე, გაერო-ს სამშვიდობო ხელშეკრულებათა მონაცემთა ბაზა [19, 20].

მიუხედავად შევსებული რედაქციებისა, თამაზ დიასამიძის პუბლიკაციებში (2003, 2005, 2008, 2010) გამოქვეყნებული დოკუმენტები რაოდენობრივად განსხვავდება ცენტრის საარქივო დოკუმენტებისგან. სამშვიდობო ხელშეკრულებათა ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლინდა 40-მდე ისეთი ხელშეკრულება, რომელიც დიასამიძის გამოცემებში ასახული არ არის. მეორე მხრივ, არც ამჯერად შეგროვილი და ერთად თავმოყრილი დოკუმენტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამშვიდობო ხელშეკრულებათა სრული ბაზა, რადგან, ხელშეკრულებათა შინაარსობრივი კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე მოლაპარაკება, რომლის შედეგად მიღებული (ხელმოწერილი) სამშვიდობო ხელშეკრულება, შეთანხმება (დაახლოებით 10 დოკუმენტი) დღეისათვის ისევ ხელმიუწვდომელია. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ხელშეკრულების შესახებ მხოლოდ საგაზეთო ინფორმაცია არსებობს, ხოლო თავად ხელშეკრულების დოკუმენტის მოპოვება შეუძლებელია. ეს მდგომარეობა ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ არ არსებობს საქართველოს სამშვიდობო პროცესის ამსახველი სპეციალური სახელმწიფო არქივი, არც კონფლიქტის შედეგად გამართულ მოლაპარაკებათა რაიმე ოფიციალური, სამშვიდობო ხელშეკრულებათა სახელმწიფო რეესტრი. შესაბამისად, 1990-იანი წლებიდან 2008 წლამდე განხორციელებულ მოლაპარაკებათა შედეგად მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებების სრული რაოდენობა ჯერ ისევ მომავალი კვლევის საგანია.

წინამდებარე კვლევაში საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებებად (ს.ხ.) იდენტიფიცირებული 449 დოკუმენტი განხილულია სამ ძირითად ჯგუფად. სამშვიდობო ხელშეკრულებები ჯგუფებში განაწილებულია მოლაპარაკებების ფორმატებისა (ორმხრივი, სამმხრივი, ოთხმხრივი და მრავალმხრივი ფორმატები)

და ხელშეკრულებათა შემმუშავებელი სტრუქტურის შესაბამისად. ჯგუფები განსხვავდება ერთმანეთისგან ხელშეკრულებების მიმღები ორგანოს/სტრუქტურის ან ხელმომწერთა წარმომადგენლობის მიხედვით. ეს ჯგუფებია:

1. საერთაშორისო სტრუქტურების მიერ მიღებული ს.ხ.-თა ჯგუფი;
2. პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად მიღებული ს.ხ.-თა ჯგუფი;
3. კონფლიქტის მოსაწესრიგებლად სპეციალურად შექმნილი ორმხრივი ან მრავალმხრივი ორგანოს ან სტრუქტურის მიერ მიღებული ს.ხ.-თა ჯგუფი.



გრაფიკი # 1: სამშვიდობო ხელშეკრულებების ჯგუფები და შესაბამისი რაოდენობრივი განაწილება მიმღები ორგანოების მიხედვით (1991-2008 წწ.).


იდენტიფიცირებული 449 სამშვიდობო ხელშეკრულებიდან (გრაფიკი #1) 123 დოკუმენტი მიღებულია საერთაშორისო სტრუქტურების მიერ. 71 დოკუმენტი მიღებულია პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე, ხოლო 255 - კონფლიქტის მოსაგვარებლად სპეციალურად შექმნილი ორმხრივი/მრავალმხრივი ორგანოს/სტრუქტურის მიერ (სამუშაო ჯგუფი, კომისია, სხვ.).

სამშვიდობო ხელშეკრულებათა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზით დადგინდა მოლაპარაკებებსა და ხელშეკრულებათა შემმუშავებაში რუსეთის მონაწილეობის ფორმები; გამოვლინდა საქართველოს სამშვიდობო პროცესში რუსეთის მონაწილეობის, მოლაპარაკებებში მისი პოზიციონირებისა და როლის ამსახველი მონაცემები. სამშვიდობო ხელშეკრულებათა სამივე ჯგუფში კარგად

ჩანს რუსეთის მონაწილეობა, თუმცა ის აღინიშნება სხვადასხვა ფორმითა და როლით და, აგრეთვე, განსხვავებული ინტენსივობით. განვიხილოთ რუსეთის მონაწილეობა სამშვიდობო ხელშეკრულებათა სამივე ჯგუფში ცალ-ცალკე.

ჯგუფი I - საერთაშორისო სტრუქტურების მიერ მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებები:

საერთაშორისო და სამთავრობათაშორისო ორგანიზაციათა მიერ მიღებულმა დოკუმენტებმა (რეზოლუციები, გადაწყვეტილებები, სხვ.), რომლებიც შემუშავდა და მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტების შეჩერებისა ან მათი ტრანსფორმაციისკენ, გარკვეული პოზიტიური როლი შეასრულა კონფლიქტის მხარეთა მოლაპარაკების მაგიდასთან დასასხდომად. მაგალითად, 2000-2004 წლების მოლაპარაკებათა პროცესებში დიტერ ბოდენისა და ჰაიდი ტალიავინის საქმიანობა, გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელთა რანგში, ასახავს იმ სირთულეებს, რომლებიც არსებობდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვისას. 2000-2001 წლებში დიტერ ბოდენმა მხარეებთან კონსულტაციით შეიმუშავა „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები“, რაც ხანგრძლივი უთანხმოებისა და მოლაპარაკებათა ბოიკოტირების საფუძველი აღმოჩნდა. თუმცა, სწორედ საერთაშორისო მხარდაჭერამ, რომელიც რიგ რეზოლუციასა და გადაწყვეტილებაში აისახა, მხარეები მოლაპარაკებათა მაგიდასთან დააბრუნა. საბოლოო ჯამში, ამ ჯგუფის დოკუმენტებმა გავლენა იქონია კონფლიქტის სუბიექტებზე, მხარი დაუჭირა და გააძლიერა მათი შეთანხმებები, გაეგრძელებინათ საქმიანობა სამშვიდობო პროცესებში, ეწარმოებინათ მოლაპარაკებები და შეემუშავებინათ ახალი სამშვიდობო შეთანხმებები, ეზრუნათ არსებულის შესრულებაზე. ასეთი პოზიტიური გავლენა, ნაწილობრივ, ასახულია გაერო-ს გენერალური მდივნისა და, აგრეთვე, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის წევრი ქვეყნების (ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია) დიპლომატთა მოხსენებებში [21, 22, 23].



გრაფიკი #2. სამშვიდობო ხელშეკრულებები (სულ 123), მიმდები საერთაშორისო სტრუქტურების მიხედვით 1991-2008 წლებში.

რუსეთის მონაწილეობა საერთაშორისო სტრუქტურების (ჯგუფი I) მიერ მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებებში სხვადასხვაგვარია. გრაფიკში #2 წარმოდგენილი 7 საერთაშორისო სტრუქტურიდან, ცალკე უნდა აღინიშნოს 4 სტრუქტურა, რომელთა მუშაობაში რუსეთი პირდაპირ მონაწილეობს. ესენია: გაერო, დსთ-ს საბჭო (წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა საბჭო), ევროსაბჭო და ეუთო. რა თქმა უნდა, რუსეთის მონაწილეობის ფორმა და როლი სხვადასხვაგვარია აღნიშნულ ორგანიზაციათა მუშაობაში, მაგრამ არის რამდენიმე გარემოება, რომლებიც საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ რუსეთის ფედერაციას დამატებით საკმარისი მოტივაცია ჰქონდა, თავისი სარგებელი მიეღო მონაწილეობით, შეესრულებინა ახალი როლი აღნიშნულ ორგანიზაციებში და სამშვიდობო ხელშეკრულებების მიღების პროცესზე თავისი გავლენა მოეხდინა. ეს გარემოებები იყო რუსეთის პოლიტიკური, რეგიონული და ფინანსური ინტერესების დაკმაყოფილება: საქართველოს კონფლიქტის ზონაში პირდაპირი სამხედრო მონაწილეობის საერთაშორისო ლეგიტიმაცია, საქართველოში განლაგებული რუსული სამხედრო კონტინგენტისთვის საერთაშორისო მშვიდობისმყოფელის მანდატის მოპოვება; უშიშროების საბჭოზე დამატებითი სახელმძღვანელო როლის მიღება რუსული (მოგვიანებით დსთ-ს) სამხედრო კონტინგენტის მიერ მშვიდობის შენარჩუნებისა და ცეცხლის შეწყვეტის და ძალთა დაშორიშორების საქმიანობით (გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG)

პარალელურად); გაერო-ს გენერალურ მდივანთან ფუნქციური დაახლოება გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფში მონაწილეობით.

1994 წლის ჩათვლით საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტებში რუსეთის ჯარი პირდაპირ მონაწილეობდა. ჯერ კიდევ გამსახურდია-ელცინის 1991 წლის 23 მარტის მოლაპარაკებებით მიღწეული შეთანხმებით, საბჭოთა არმიის საჯარისო ნაწილების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან სხვა დისლოკაციაზე გადატანა უნდა დაწყებულიყო. ამ შეთანხმების საპირისპიროდ, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ამ მიზეზით სსრკ-ს შინაგანი ჯარის მონაწილეობა ლეგიტიმური გახდა. მოგვიანებით, 1992 წელს, რუსეთის ოფიციალური განცხადებით, რუსეთი ჰუმანიტარულად და ეკონომიკურად ეხმარებოდა აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას. თუმცა, საქართველოს პარლამენტმა, დაწყებული 1992 წლიდან, გამოსცა არაერთი დადგენილება, რომლითაც გამოაცხადა, რომ რუსეთის ჯარი პირდაპირ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ და მოითხოვა რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოდან [19, 24, 25, 26].

ასეთივე მდგომარეობა იყო სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, 1992 წლის 24 ივნისის მოლაპარაკების შედეგად საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები შეთანხმდნენ, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონიდან რუსეთს უნდა გაეყვანა თავისი ჯარი, რათა (შემთხვევით) არ ჩარეულიყო კონფლიქტში. 1993 წლის 25 თებერვლის დადგენილებით, საქართველოს პარლამენტმა ისევ დაუშვებლად გამოაცხადა აფხაზეთში რუსეთის ჯარის ყოფნა და დაავალა საქართველოს სახელმწიფო მეთაურს, მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსეთის პრეზიდენტთან, საქართველოს კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარის დაუყოვნებლივი გაყვანის თაობაზე. შედეგად, საქართველო-რუსეთის პრეზიდენტთა 1993 წლის 9 აპრილის მოლაპარაკების მთავარი საგანი ისევ რუსეთის ჯარის გაყვანა იყო. აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგად მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით რუსეთის ჯარს საქართველოს ტერიტორია უნდა დაეტოვებინა 1995 წლის 31 დეკემბერს [25, 26, 27].

იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ საქართველოს კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუსეთის ჯარს დსთ-ს სამშვიდობო კონტინგენტი ჩაანაცვლებდა, რუსეთი განუწყვეტლად ცდილობდა, კონფლიქტის ზონებში განლაგებული რუსული ჯარისთვის სამშვიდობო კონტინგენტის საერთაშორისო სტატუსი გაერო-სგან მიეღო. მოგვიანებით, რუსეთის ჯარი ჩაანაცვლდა დსთ-ს სამშვიდობო კონტინგენტით კონფლიქტის ზონაში. ეს რუსეთმა დამატებით საშუალებად გამოიყენა, გაერო-ში გაიძლიერა საკუთარი სტატუსი, რომ ახალი როლი და ფუნქცია მიეღო საქართველოს კონფლიქტების მოსაგვარებელ მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის.

ფორმალურად, დსთ-ს კოლექტიური კონტინგენტის განლაგების საფუძველი იყო მხარეთა (საქართველოსა და აფხაზეთის სტრუქტურების განცხადება) შეთანხმება, რომელიც ქ. მოსკოვში დაიდო 1994 წლის 14 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებით (ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორების შესახებ შეთანხმება). აღნიშნულ ხელშეკრულებას საფუძველად ედო დსთ-ს წევრ სახელმწიფო ხელმძღვანელთა დეკლარაცია შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების მზაობაზე (დსთ-ს საბჭოს დეკლარაცია, 15 აპრილი, 1994 წ. ქ. მოსკოვი). კონფლიქტის მხარეთა მიერ დსთ-ს სამშვიდობო კონტინგენტის აფხაზეთში განლაგების თხოვნაზე საპასუხოდ, გაერო-ს უშიშროების საბჭომ არა მარტო აღიარა დსთ-ს კონტინგენტის სამშვიდობო მანდატი აფხაზეთში, არამედ, ამასთან ერთად რუსეთს გადასცა რწმუნება, რომლის მიხედვით რუსეთი გახდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრთა მომხსენებელი დსთ-ს სამშვიდობო კონტინგენტის საქმიანობაზე აფხაზეთში. ამგვარად, რუსეთმა მიიღო დამატებითი ახალი ფუნქცია, რომლითაც მას, გაერო-ს გენერალური მდივნის პარალელურად, უშიშროების საბჭოსთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია, ასე ვთქვათ, მეორე, სამშვიდობო კონტინგენტზე (დსთ-ს სამშვიდობოებზე), რომელიც გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის (საქართველოში 1993 წლის მაისიდან შევიდა) პარალელურად 1994 წლიდან განახორციელებდა საქმიანობას საქართველოში [25, 26, 28, 29].

ამრიგად, 1994 წლიდან 2008 წლამდე რუსეთის ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა დსთ-ს სამშვიდობოების საქმიანობის შესახებ უშიშროების საბჭოზე მომხსენებლის მანდატით. მანამდე, 1993 წლიდან, რუსეთის ფედერაცია


საქართველოს კონფლიქტების მოგვარების ეგიდით, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფში მონაწილეობდა. ეს მანდატი რუსეთს გაერო-სგან ჰქონდა მინიჭებული [30].

გარდა აღწერილი მექანიზმებისა, რუსეთს, როგორც გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრსა და ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოს, ჰქონდა ვეტოს გამოყენების უფლება, რომელიც მან გამოიყენა საქართველოს კონფლიქტების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას. კერძოდ, 2005 წელს, ჯერ ეუთო-ს, მოგვიანებით, 2009 წელს, გაერო-სა (UNOMIG) და ეუთო-ს (The OSCE's Border Monitoring Operation (OSCE, BMO)) სადამკვირვებლო საქმიანობას ვეტო დაადო რუსეთმა [31, 32].

ნათელია, რომ I ჯგუფის ხელშეკრულებათა მიღების პროცესში რუსეთი სხვადასხვა ფორმითა და როლით აქტიურად მონაწილეობდა გაერო-ში, ეუთო-ში, ევროსაბჭოში, დსთ-ს საბჭოში. მას საკმარისი მოტივაციაც ჰქონდა, რომ თავისი მონაწილეობის ფორმა და როლი ბერკეტად გამოეყენებინა და გავლენა მოეხდინა სამშვიდობო ხელშეკრულებათა მიღების პროცესსა და შინაარსზე. თუმცა, ობიექტურობისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის, მას ფორმალური საფუძველი გააჩნდა, რაც გამოიხატებოდა, მაგ.: კონფლიქტის მხარეთა მიერ გაკეთებულ მიმართებებში გაერო-ს მიმართ.

ჯგუფი II. პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებები


პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებათა დოკუმენტების ჯგუფი 71 დოკუმენტს მოიცავს. ეს დოკუმენტები შემუშავდა მოლაპარაკებათა სხვადასხვა ფორმატში (იხ. გრაფიკი #3).



გრაფიკი #3. პირდაპირ მოლაპარაკებათა ფორმატებში მიღებული 71 სამშვიდობო ხელშეკრულების რაოდენობრივი განაწილება (1991-2008 წწ.).

როგორც გრაფიკი #3-დან ჩანს, მოლაპარაკებათა სამ ფორმატში (ორმხრივი, სამმხრივი, ოთხმხრივი მოლაპარაკებები) შემუშავებული ხელშეკრულებების რაოდენობა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან (27 (38%), 26 (37%) და 15 (21%), შესაბამისად). ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა შემუშავებულია მეოთხე ფორმატში (ევროკავშირის ბროკერობით გამართული მოლაპარაკება (3 (4%)). ასეთი განსხვავება, ერთი მხრივ, იმით აიხსნება, რომ მეოთხე ფორმატში მხოლოდ 2008 წლის მოლაპარაკებების დოკუმენტებია გაერთიანებული, ხოლო დანარჩენ ფორმატებში კი - 1991 წლიდან 2008 წლამდე მიღებული ხელშეკრულებები. ამდენად, ლოგიკურია ასეთი რაოდენობრივი განსვლა. თუმცა, თავად 2008 წლის დოკუმენტები, მათი ფორმიდან და შინაარსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განსხვავდება ყველა სხვა ფორმატის სამშვიდობო ხელშეკრულებისგან, რაც ამ უკანასკნელთა ცალკე ჯგუფად გამოყოფის საფუძველი გახდა.

მოლაპარაკებათა ფორმატებში შემუშავებული 71 სამშვიდობო ხელშეკრულებიდან რუსეთი 59 დოკუმენტის ხელმომწერია, რაც 83%-ს შეადგენს. ასეთი მაღალი მაჩვენებელი პირდაპირი მოლაპარაკებების ფორმატების მიმართ რუსეთის მაღალ დაინტერესებაზე მიუთითებს (იხ. გრაფიკი #4):




გრაფიკი #4. პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებათა ჯგუფში რუსეთის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების რაოდენობრივი განაწილება (1991-2008 წწ.).

რუსეთი მოლაპარაკებათა ოთხივე ფორმატში მონაწილეობს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას დიდი ინტერესი აქვს, აქტიურად იყოს ჩართული პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ სამშვიდობო ხელშეკრულებათა მიღებაში. შედეგად, ყველა ერთობლივ ორგანოში, რომლის შესაქმნელადაც მოლაპარაკებები გაიმართა, რუსეთმა თავისი წარმომადგენელი წევრად გაამწესა და, ხშირ შემთხვევაში, ერთობლივი ორგანოს მაღალი თანამდებობის დაკავების გარანტიებიც მიიღო. ამრიგად, მეორე ჯგუფის სამშვიდობო ხელშეკრულებათა მისაღები მოლაპარაკებების ფორმატები სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც აქტიური მონაწილეობა სამომავლო ჩართულობის საწინდარია რუსეთისთვის [33].

პირდაპირი მოლაპარაკებები რუსულ ენაზე ტარდებოდა. სამშვიდობო ხელშეკრულებათა რუსული ენის ავთენტურობის შესახებ ჩანაწერი სამშვიდობო ხელშეკრულებებშიც არის მოცემული. სამშვიდობო ხელშეკრულებათა ინგლისურ და ქართულენოვან კრებულებში ავტორი აღნიშნავს, რომ დოკუმენტები რუსულიდან ითარგმნა და ინგლისურენოვან თარგმანს არაოფიციალურს უწოდებს. პირდაპირი მოლაპარაკებების შედეგად მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებები, მოლაპარაკებების დასრულებისას, ინგლისურ ენაზე ითარგმნებოდა გაერო-სა და ეუთო-სთვის, ასევე, სხვა დაინტერესებული ინსტიტუტებისათვის [34, 35, 36].

რუსეთის მონაწილეობის ფორმებზე პირდაპირი მოლაპარაკებების ინგლისურენოვან ხელშეკრულებებში მითითებულია მოლაპარაკების შედეგად


მიღებულ რუსეთის ხელმოწერილ სამშვიდობო ხელშეკრულებებში და აღნიშნულია მონაწილეობის სხვადასხვა ფორმა (იხ. გრაფიკი #5).



გრაფიკი #5: პირდაპირ მოლაპარაკებათა შედეგად მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებების შემუშავებაში რუსეთის მონაწილეობის ფორმები 1991-2008 წწ.

განსხვავებულია რუსულენოვანი ხელშეკრულებების მონაცემები, რადგან იქ ორი განსხვავებული ტერმინით არ გვხვდება „მხარე“, როგორც ეს მოცემულია ინგლისურენოვან დოკუმენტებში (“On behalf of the Russian side” და “party”“, რაც, მართებულია, ითარგმნოს, შესაბამისად: „რუსეთის მხრიდან“ და „მხარე“). რუსულენოვანი დოკუმენტები მიუთითებს მხოლოდ ერთი ტერმინით - «сторона» ტერმინი «сторона» არაორაზროვნად მიუთითებს, რომ რუსეთის მონაწილეობა მოლაპარაკებებში გულისხმობდა „მხარეს“ მონაწილეობას და არა რუსეთის მხრიდან (შეხვედრაში წარმომადგენლის) მონაწილეობას, როგორც ეს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება აღნიშნულიყო: «со стороны» და არა «за Российскую сторону», როგორც სამშვიდობო დოკუმენტების ჩანაწერებშია მოტანილი. მხარეს მონაწილეობა (მიუხედავად იმისა, თუ როგორია ეს მხარე, დაინტერესებული თუ კონფლიქტის მონაწილე მხარე), მოლაპარაკებების ფორმატზე და შინაარსზე პირდაპირ ახდენს გავლენას და, აგრეთვე, ადასტურებს მისი, როგორც მონაწილის, შესაბამის როლსა და ფუნქციებს, რომლებიც ვერ გაიგივდება მესამე ნეიტრალურ მხარესთან, თავისი როლისა და ფუნქციის ბუნებიდან გამომდინარე.

ამდენად, რუსულენოვან (ავთენტურ) დოკუმენტებში შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლები ერთიანდება „მხარე“-ს მაჩვენებელში (იხ. გრაფიკი #6):



გრაფიკი #6: პირდაპირ მოლაპარაკებათა შედეგად მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებების შემუშავებაში რუსეთის მონაწილეობის ფორმები 1991-2008 წწ.


როგორც გრაფიკი #6-დან ჩანს, რუსეთის პირდაპირ მოლაპარაკებებში მონაწილეობის ფორმებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ფორმას - „მხარე“ (сторона). ეს მაჩვენებელი, როგორც უკვე ვნახეთ, განსხვავდება რუსულ და ინგლისურენოვან დოკუმენტებში, მაგრამ, ერთი მხრივ, ავთენტური დოკუმენტების (რუსულენოვანი ხელშეკრულებები) საფუძველზე (86%), და, მეორე მხრივ - ინგლისურენოვან დოკუმენტებში მოცემულ ასევე მაღალ მაჩვენებელზე (54%) დაყრდნობით, შეგვიძლია განზოგადება, რომ მოლაპარაკებათა ფორმატებში, რუსეთის მონაწილეობის ფორმებიდან პრიორიტეტი ნამდვილად „მხარეს“ ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო ხელშეკრულებათა ტექსტებში მითითებული და ცალ-ცალკე აღნიშნულია „კონფლიქტის მონაწილე მხარე“ და უბრალოდ, „მხარე“. რა თქმა უნდა, ხელშეკრულების ხელმომწერი, ხელშეკრულების მონაწილე „მხარეა“ საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით. ასეთ საერთაშორისო-სამართლებრივ მიდგომას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობაც. ასე რომ,

პირდაპირ მოლაპარაკებებში რუსეთი, როგორც ხელმომწერი მხარე, მოიაზრება, როგორც ხელშეკრულების ხელშემკვრელი მხარე, თუმცა, ეს მიდგომა ამ ჯგუფის 59 დოკუმენტიდან მხოლოდ 30 რუსულენოვან დოკუმენტთან მიმართებით უნდა გავიზიაროთ, ხოლო ინგლისურენოვან დოკუმენტებში ან მხოლოდ 11-თან, ან 19-თან. ამდენად, ინგლისურ და რუსულენოვან დოკუმენტებში ერთმანეთის სინონიმებად მოყვანილმა განსხვავებულმა ტერმინებმა ამ დოკუმენტთა გაგების თავისუფალი ან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალება მისცა კონფლიქტის მხარეებს, რითაც კიდევ უფრო გაართულა მათი მოლოდინის მართვა [37].

რუსეთის როლი მოლაპარაკებებში: მედიაცია და ფასილიტაცია

რუსეთის მედიაციისა და ფასილიტაციის როლის შესახებ მონაცემები რუსულ და ინგლისურენოვან ხელშეკრულებებში არ განსხვავდება (იხ. გრაფიკი #7):



გრაფიკი #7: პირდაპირ მოლაპარაკებათა შედეგად მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებების შემუშავებაში რუსეთის მონაწილეობის როლები 1991-2008 წწ.

მედიაციისა და ფასილიტაციის პროცესის გასამართად აუცილებელია, პროცესის მონაწილე ყველა მხარისთვის ფასილიტატორი და მედიატორი მისაღები იყოს და, იმავდროულად, აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის კრიტერიუმებს. წინამდებარე კვლევაში რუსეთისთვის ფასილიტატორის ან მედიატორის პროფესიული კრიტერიუმების დაკმაყოფილების რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი არ განხილულა. გაერო-ს, ეუთო-ს, ევროსაბჭოს ან სხვა რომელიმე საერთაშორისო თუ რეგიონულ ორგანიზაციას, მსგავსი სერვისის მისაწოდებლად, როგორც წესი, ეროვნული

ხელისუფლება მიმართავს და, მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი ხდება ასეთი სერვისის მიღება და შესაბამისი საქმიანობის განხორციელება [38].

რუსეთი შუამავლის როლის შესასრულებლად საქართველოს კონფლიქტის მონაწილე მხარემ მიიწვია. ასეთი გადაწყვეტილების შესახებ არსებობს რამდენიმე დოკუმენტი (სამხ. ოსეთი-ჩრდ. ოსეთი ერთობლივი სხდომის დადგენილება, 8 ივნისი, 1992 წელი; საქართველო-ჩრდ. ოსეთის თავმჯდომარეთა, შევარდნაძე-გალაზოვის მოლაპარაკების პროტოკოლი, ყაზბეგი, 10 ივნისი, 1992 წელი; შევარდნაძე-ელცინის შეთანხმება არძინზას მონაწილეობით, პროტოკოლი, მოსკოვი, 3 სექტემბერი, 1992 წელი). მართალია, კონფლიქტის თუნდაც ერთი მხარის მიერ მოწვეული მედიატორი ან ფასილიტატორი, რომელსაც, იმავდროულად, თავისი ჯარი ჰყავს დისლოცირებული კონფლიქტის ტერიტორიაზე და შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობს, ნეიტრალური მესამე მხარის, მოწვეული მედიატორის ან ფასილიტატორის როლს ვერ შეასრულებს და არც ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი ექნება, თუმცა, ობიექტურობისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რუსეთი აღნიშნული ფუნქციით კონფლიქტის მხარეებმა მიიწვიეს. ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ რუსეთს ჰქონდა ამ ფუნქციის შესრულების ფორმალური საფუძველი.


მოგვიანებით, უკვე გაერო-ს უშიშროების საბჭოს არაერთი რეზოლუცია აღიარებს რუსეთის ფედერაციას, როგორც ნეიტრალურ შუამავალსა და ფასილიტატორს. ეს გარემოება რუსეთისთვის კიდევ უფრო აძლიერებს იმ საფუძველს, რომლითაც ის მოლაპარაკებათა გარკვეულ ფორმატებში კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მედიატორის და/ან ფასილიტატორის როლში აწერს ხელს სამშვიდობო ხელშეკრულებებს [39].

ჯგუფი III. კონფლიქტის მოსაწესრიგებლად სპეციალურად შექმნილი ორმხრივი ან მრავალმხრივი ორგანოს ან სტრუქტურის მიერ მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებები:

მესამე ჯგუფის მიერ მიღებული ხელშეკრულებები ყველაზე მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფის ხელშეკრულებებმა ასახა გადაუდებელი საჭიროებები და პირდაპირ პასუხობდა პრობლემებს, რომლებსაც მხარეები

განსახილველად აყენებდნენ. შეიძლება ვარაუდი, რომ ხელშეკრულებათა რაოდენობრივი მაჩვენებელი ამიტომ არის მაღალი და შეესაბამება პოსტ-კონფლიქტური საზოგადოებების მრავალფეროვან პრიორიტეტულ საჭიროებებს.

მესამე ჯგუფში შედის 255 დოკუმენტი, რომელიც კონფლიქტის მოსაგვარებლად სპეციალურად შექმნილი ორმხრივი/მრავალმხრივი ორგანოს (სამუშაო ჯგუფი, კომისია, სხვ.) მიერ შემუშავდა. ამ ჯგუფის სამშვიდობო ხელშეკრულებათა შემუშავებელი ორგანოები, ძირითადად, 2 მიმართულების მომუშავე ორგანოებად შეიძლება დავყოთ: ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტისთვის შექმნილი ერთობლივი ორგანოები. თუმცა, გაანალიზებულ დოკუმენტებში ვხვდებით აგრეთვე ქართულ-რუსულ სტრუქტურებს, რომლებიც მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნა, მაგრამ ეს სტრუქტურები ქართულ-აფხაზური ან ქართულ-ოსური კონფლიქტების შედეგად მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად, ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად ჩამოყალიბდა.



გრაფიკი #8 ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის შექმნილი ორგანოების მიერ შემუშავებული სამშვიდობო ხელშეკრულებების რაოდენობრივი განაწილება 1991-2008 წწ.

როგორც #8 გრაფიკში ჩანს, ორი მიმართულებით შექმნილი ერთობლივი ორგანოების მიერ მიღებული 255 სამშვიდობო ხელშეკრულება არათანაბრად ნაწილდება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების

მოსაწესრიგებლად შექმნილი ორგანოების მიხედვით. ასეთი ასიმეტრიული მდგომარეობა (43 და 212 სამშვიდობო ხელშეკრულება, შესაბამისად) არ ნიშნავს იმას, რომ რომელიმე მიმართულება უფრო პრიორიტეტული იყო საქართველოსთვის. ეს მდგომარეობა, შესაძლოა, მიუთითებს იმ სირთულეებს და შესაძლებლობებს, რომელთა დაძლევა და გამოყენება იმ პერიოდში შეძლო კონფლიქტის მხარემ. მიუხედავად განსხვავებული რაოდენობის ხელშეკრულებებისა, მოლაპარაკებათა ინტენსივობა ორივე მიმართულებით გაცილებით უფრო მაღალი იყო. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ყველა მოლაპარაკება ხელშეკრულებით არ დასრულებულა.

მესამე ჯგუფის მიერ მიღებული სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელმოწერნი თავად წარმოადგენენ ერთობლივ ორგანოს, რომელიც იღებს ხელშეკრულებას. ერთობლივი ორგანოს წევრები, ამ ორგანოს თანამდებობის პირები ხელმოწერით ადასტურებენ მიღწეულ შეთანხმებებს მესამე ნეიტრალური მხარის თანდასწრებით.

მესამე ჯგუფის დოკუმენტთა ანალიზით გამოვლინდა, რომ რუსეთი აღნიშნული ორი მიმართულებით შექმნილ ერთობლივ ორგანოებში პირდაპირ მონაწილეობს. მისი წარმომადგენლები ამ ორგანოთა არა მხოლოდ წევრები არიან, არამედ მაღალ თანამდებობებს იკავებენ (1992 წლის 4 ივლისის მხარეთა შეხვედრის შეთანხმება ვლადიკავკაზში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ შეთანხმების შესასრულებლად, ოქმი). 1992 წლის 4 ივლისის ვლადიკავკაზის შეხვედრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, დაკომპლექტდა „შერეული საკონტროლო კომისია“ და კომისიის ქვემდებარე სტრუქტურები. კომისიის თანათავმჯდომარედ დაინიშნა სერგეი შოიგუ, იმ დროს რუსეთის ფედერაციის სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის, საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე; შერეული საკონტროლო კომისიის ქვემდებარე ორგანოს „შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით“ - უფროს სამხედრო ხელმძღვანელად დაინიშნა გენადი ფილატოვი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალ-ლეიტენანტი; სამხედრო დამკვირვებელთა შერეული ჯგუფის ჩამოყალიბებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის

თავმჯდომარედ იყო ს. მიხაილოვი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი, ისევე, როგორც სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფის ორი წევრი: პოლკოვნიკი ა. ბოლოტაევი და ვიცე-პოლკოვნიკი ა. რომანოვი. ნათელია, რომ ერთობლივი ორგანოს მიერ გამართულ შეხვედრებში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ერთობლივი ორგანოს ოფიციალური წევრები, რომელთა შორის რუსეთის წარმომადგენლებს მაღალი თანამდებობები უკავიათ [36, 40].

ხელშეკრულებათა ამ ჯგუფში რუსეთის მონაწილეობა განისაზღვრება არა მარტო საკუთარ წარმომადგენელთა ერთობლივ ორგანოებში გამწესებით, არამედ ის აფინანსებს ამ ორგანოებს, ამარაგებს მათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და რეგულარული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ხარჯები აქვს. სამშვიდობო ხელშეკრულებებსა და ხელშეკრულებათა დანართებში მითითებულია რუსეთის ფინანსური მონაწილეობა (ხელფასები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰუმანიტარული დახმარება, სამხედრო ძალები და სხვ.) შემდეგ ფორმატებში: შერეული საკონტროლო კომისიის საქმიანობის განხორციელება, გაერთიანებული პრესცენტრი, შერეული საკონტროლო კომისიის ქვემდებარე სამხედრო კონტინგენტი „შერეული ძალები მშვიდობის დამყარებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით“ (1992 წელი, 6 ივლისი, ქ. თბილისი. სამშვიდობო შეთანხმება, ოქმი #2, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შეხვედრა, შერეული საკონტროლო კომისია); გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ფინანსური მხარდაჭერა ჰუმანიტარული ტვირთის შესატანად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (1993 წელი, 30 მაისი, მოსკოვი, რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს ბრძანება, ვ. შუმეიკო, რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე); ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის ეკონომიკური რეაბილიტაცია (1993 წელი, 14 სექტემბერი, მოსკოვი, შეთანხმება რუსეთის ფედერაციის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან დაკავშირებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ეკონომიკის აღდგენის შესახებ); ოსური კონტინგენტის დაფინანსება ქართულ-ოსურ ბატალიონში (1994 წელი, 6 დეკემბერი, მოსკოვი, შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილება საქართველო-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხისათვის მშვიდობის მხარდაჭერის ძალების შესახებ) და სხვა.

ამდენად, ამ ჯგუფის სამშვიდობო ხელშეკრულებები ორივე მიმართულებით (ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური), რუსეთის, როგორც პროცესის განუყოფელი მონაწილის დომინანტური ძალის ლეგიტიმაციის მრავალ ნიშანს შეიცავს (მონაწილეობის ფინანსური, თანამდებობრივი, წარმომადგენელთა რაოდენობრივი, ენობრივი და სხვ. ინდიკატორი), რამაც შეთანხმებათა მიღწევის და მიღწეულ ხელშეკრულებათა შესრულების მყიფე საფუძველი შექმნა.

დასკვნა

1. რუსეთის მონაწილეობამ სამშვიდობო მოლაპარაკებებში და სამშვიდობო ხელშეკრულებებში საქართველოს კონფლიქტები გაახანგრძლივა და კარგა ხნით გადაავადა სამშვიდობო შედეგები: რუსეთმა სამშვიდობო ხელშეკრულებათა სამივე ჯგუფში აქტიური მონაწილეობით, საკუთარი როლისა და ფორმის მრავალფეროვნებით, მოლაპარაკებათა ყველა ფორმატი საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოიყენა. მოლაპარაკებებში ის ხან მხარე, ხან დამკვირვებელი, ხან მედიატორი ან ფასილიტატორი, ზოგ შემთხვევაში კი, ერთდროულად რამდენიმე როლში იყო. შედეგად, რუსეთი, მოლაპარაკებებში ასიმეტრიული ძალაუფლების მატარებელი იყო, რაც არ ქმნიდა მოლაპარაკების ჯანსაღ კლიმატს და კონფლიქტის მხარეთა ნდობის საფუძველს. მოლაპარაკებებში საკუთარი როლისა და ფუნქციის ასეთი აღრევით, რუსეთმა დაარღვია მესამე ნეიტრალური მხარის სტანდარტი და ეთიკური პრინციპები, რამაც შეაჩერა ან კარგა ხნით გადაავადა სამშვიდობო პროცესები. ასიმეტრიულმა ძალაუფლებამ ნეგატიური გავლენა იქონია კონფლიქტის მონაწილე მხარეებზე, მოლაპარაკებებზე და შედეგები მყიფე გახადა, რაც, მათ შორის, გამოიხატა ხელშეკრულებათა შეუსრულებლობაში, მხარეთა შორის ნდობის დეფიციტის გაღრმავებასა და კონფლიქტის გაახანგრძლივებაში.

2. რუსეთმა სამშვიდობო მოლაპარაკებებსა და ხელშეკრულებებში მონაწილეობით დამატებითი საერთაშორისო ძალაუფლება მოიპოვა: 1991-2008 წლების მოლაპარაკებებში რუსეთმა თავისი მონაწილეობის აღიარება და დადებითი შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მოიპოვა, რამაც დამატებითი სტატუსი შესძინა საერთაშორისო არენაზე. ამ ფაქტმა უდავო და უალტერნატივო გახადა რუსეთის როლი და ფუნქცია არა მარტო კონფლიქტის

მონაწილე მხარეთათვის, არამედ სხვა პარტნიორებისთვისაც; ამით კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთის ბერკეტები საერთაშორისო ორგანიზაციათა სტრუქტურებში საკუთარი გავლენების გასაზრდელად. ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებში რუსეთის მრავალფუნქციური მონაწილეობის შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული პირებისათვის რუსეთი მოლაპარაკებათა შედეგისა თუ გამოწვევის პირველწყარო გახდა. ამასთან, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის, ეუთო-ს მონაწილე სახელმწიფოს, დსთ-ს მშვიდობისმყოფელთა კონტინგენტის ქმედებათა მაკონტროლებელი წამყვანი ქვეყნის - რუსეთის, უალტერნატივობის ლეგიტიმაცია „ქვემოდან“ „ზემოთ“, ადგილობრივ ყველა ფორმატში მიღებული ხელშეკრულებებით განხორციელდა.

3. მოლაპარაკებებსა და ხელშეკრულებებში რუსეთის ფინანსური მონაწილეობით გაიზარდა მისი ძალაუფლება: საქართველოს კონფლიქტის მოგვარებისა და მოლაპარაკებათა პროცესებში რუსეთის ფინანსურმა ჩართულობამ გამოიწვია კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მასზე დამოკიდებულების (მიზმულობის) გაზრდა და საქართველოს სამშვიდობო პროცესში რუსეთის უალტერნატივო, მუდმივი მონაწილეობის გარანტიები. ადგილობრივი მოსახლეობის ჰუმანიტარულმა და ეკონომიკურმა მხარდაჭერამ პროცესებზე რუსეთის უპირობო გავლენის მოხდენის დამატებითი შესაძლებლობები გააჩინა, რითაც გაძლიერდა რუსეთის ასიმეტრიული ძალაუფლება მოლაპარაკებებში.

4. სამშვიდობო მოლაპარაკებათა და ხელშეკრულებების რუსულ ენაზე წარმოებამ რუსეთის უპირატესობები გაზარდა: საქართველოს კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მშობლიური ენებისგან განსხვავებით, მოლაპარაკებათა და ხელშეკრულებების ავთენტურმა რუსულმა ენამ გაზარდა რუსეთის უპირატესობები სამშვიდობო ხელშეკრულების დოკუმენტის შედგენაში, რადგან რუსულიდან სხვადასხვა ენაზე თარგმნილი დოკუმენტები განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. კიდევ უფრო გაიზარდა მონაწილეთა ძალაუფლების ასიმეტრია, რის შედეგად მომგებიან პოზიციაში ჩადგა რუსეთი, რომელსაც ენობრივად განსხვავებული ინტერპრეტაციით გავლენის მოხდენის შესაძლებლობა გაუჩნდა, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთის მხრიდან დოკუმენტთა

სავალდებულო თარგმნის დანახარჯების არქონაზე, კონფლიქტის მხარეებთან შედარებით.

5. რუსეთის მონაწილეობით გახანგრძლივებული კონფლიქტების მოლაპარაკებები ფორმალურად გაგრძელდა - პროცესი პროცესისათვის - ტრადიციად იქცა: მოლაპარაკებათა მონაწილეების ასიმეტრიული ძალაუფლებისა და ნდობის დეფიციტის ფონზე მიღებულმა შეთანხმებებმა ვერ შექმნა კონფლიქტების დეესკალაციისა და მშვიდობის აღდგენის ფაზაში გადაყვანის წინაპირობა. ასეთი მოლაპარაკებები შეიძლება შეფასდეს, როგორც პროცესი პროცესისთვის, რომელიც აჭიანურებს და ახანგრძლივებს კონფლიქტს, არ გამორიცხავს კონფლიქტის ესკალაციას, რასაც ხშირად ხდებოდა გასული 30 წლის განმავლობაში. აღნიშნული გარემოებები გადაიზარდა საერთაშორისოდ აღიარებულ ტრადიციაში, რომლის ნათელი მაგალითი 2008 წელს ინიცირებული ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებია. ბოლო 14 წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებების ჩიხური მდგომარეობა საქართველოს სამშვიდობო პროცესის ფორმალობაზე დამატებით მეტყველებს.

არსებული პრაქტიკის საპირისპიროდ, კონფლიქტების მოგვარების თეორია და ეფექტიანი პრაქტიკა ცალსახად ამტკიცებს, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობა დიდწილადაა დამოკიდებული ეფექტიან მოლაპარაკებაზე, სადაც მოლაპარაკების მაგიდასთან მსხდომთა ძალაუფლების ბალანსი დაცულია და მესამე მხარის მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ არ დგას მოლაპარაკების მონაწილეთათვის.

ლიტერატურა:

1. Barnes, C. (2009). Ending war: the need for peace process support strategies. Accord an international review of peace initiatives. Policy Brief 2009. Retrieved August 6, 2020, from http://c-r.org/downloads/Endingwar_policybrief_2009.pdf
2. Diamond L. and McDonald, J. (1996). Multi track diplomacy (3rd Ed.). Connecticut: Kumarian Press, Inc.
3. KhuciSvili G., AsaTiani, T., BerekaSvili, D., MSvidobaZe R., NiJaraZe G., RazmaZe, M., SanikiZe L., CixisTavi T., da CixisTavi-XuciSvili, n. (red.). Konfliqtების mogvareba, molaparakeba, fasilitacia, mediacia, mSvidobis mSenebloba, konfliqtების transformacia

- mSvidobiani gziT. Tbilisi: konfliqtebisa da molaparakebaTa saerTaSoriso kvleviTi centri.
- Galtung, J. (1969, June). Violence, Peace, and Peace Research. *Journal of Peace Research*, 3, 167-191, 20.15
4. Pehar, D. Use of ambiguities in peace agreements. In J. Kurbalija, and H. Slavik, (Eds.) *Language and Diplomacy 2010*. Malta: DiploProjects. Retrieved October 28, 2020, from https://www.diplomacy.edu/sites/default/files/Language_Diplomacy_Chapter11.PDF
 5. The UN Security Council (UNSC), 2004 <https://peacemaker.un.org/>
 6. Bell, Ch. (2006, April). Peace agreements: Their nature and legal status. *The American Journal of International Law*, 100(2), 373-412.
 7. Kuol Nyok, K. A. Challenges of implementing peace agreements in Africa: a case study of the Sudan comprehensive peace agreement. Nairobi: University of Nairobi, 2010. Retrieved August 10, 2019, from <http://erepository.uonbi.ac.ke/handle/11295/96260>
 8. Druckman, D. (1996). An analytical Research agenda for conflict and conflict resolution. In D. J. D.
 9. Fisher, R. J. (2011). Methods of Third-Party Intervention. *The Berghof Handbook for Conflict transformation*. Retrieved October 28, 2019, from: https://www.berghof-foundation.org/fileadmin/redaktion/Publications/Handbook/Articles/fisher_hb.pdf
 10. SaqarTvelos prezidentis pressamsaxuri. SaqarTvelos prezidentis 15.03.2019 gancxadeba Jenevis molaparakebebis saerTaSoriso formatze. Tbilisi: saqarTvelos prezidentis oficialuri vebgverdi. MoZiebulia 29 oqtomberi, 2019 <https://www.president.gov.ge/geo/pressamsakhuri/siakhleebi/saqartvelos-prezidenti-salome-zurabishvili-samkhre.aspx>
 11. Yolbaia V., Waxrakia T., Gelantia R., Lacuzbaia D.. AfxazeTis sakiTxi saqarTvelos parlamentSi. Tbilisi: afxazeTis problemebTan dakavSirebuli saqarTvelos parlamentis droebiTi komisia, 2004.
 12. Frichova Grono, M. (2010). Georgia's Conflicts: What Role for the EU as Mediator? London: International Alert. Retrieved October 28, 2019, from <http://georgica.tsu.edu.ge/files/05-Security/Frichova-2010.pdf>
 13. Hoch, T., Souleimanov, E., and Baranec, T. (2014). Russia's role in the official peace process in South Ossetia. *Bulletin of Geography Socio-economic Series*, 23, 53–71. Retrieved October 28, 2019, from
 14. https://www.researchgate.net/publication/260368590_Russia's_role_in_the_official_peac_e_process_in_South_Ossetia
 15. Sundberg, R., Eck, K., and Kreutz, J. (2012). Introducing the UCDP Non-State Conflict Dataset. *Journal of Peace Research*, 49(2), 351-362. Retrieved October 28, 2019, from

- https://www.researchgate.net/publication/254449961_Introducing_the_UCDP_Non-State_Conflict_Dataset
16. Högladh, S. (2019). Codebook version 19.1. The Uppsala Conflict Data Program (UCDP). Uppsala: The Uppsala University. Retrieved August 10, 2019, from <https://ucdp.uu.se/>
 17. Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMCG). (2009). The Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (IIFFMCG). Retrieved August 10, 2019, from https://www.echr.coe.int/Documents/HUDOC_38263_08_Annexes_ENG.pdf
 18. TsixisTavi-KhuciSvili, n. (2019, seqtemberi). 1991-2008 wlebSi miRebuli saqarTvelos samSvidobo xelSekrulebebis raodenobrivi maCveneblebisTvis. xelisufleba da sazogadoeba, 3(51), 162-174.
 19. International Center on Conflict and Negotiation (ICCN), 2014. Historical Archive of Georgia in Conflict Resolution and Peacebuilding. Retrieved August 6, 2020 http://iccn.ge/index.php?article_id=309&clang=1
 20. The UN Peacemaker. (2006). The UN DPPA Online Mediation Support Tool. Retrieved August 6, 2019, from <https://peacemaker.un.org/>
 21. Stewart, S. (2003, February). The role of the United Nations in the Georgian-Abkhazian conflict. Journal of Ethnopolitics and Minority Issues in Europe, 2, 21-25. Retrieved October 28, 2019, from <https://core.ac.uk/download/pdf/25897578.pdf>
 22. Office of the Spokesperson for the UN Secretary-General (2006). K. Annan: Georgia and Abkhazia must actively follow up on understandings. New-York: UNO. Retrieved October 29, 2019, from <https://www.un.org/sg/en/content/highlight/2006-03-24.html>
 23. The UN Peacemaker. (2006). The UN DPPA Online Mediation Support Tool. Retrieved August 6, 2019, from <https://peacemaker.un.org/>
 24. TsixisTavi-KhuciSvili, n. (2007, dekemberi). dsT-s, ruseTis „samSvidobo“ jarebi - saqarTveloSi konfliqtebisTvis, politikuri deteqtivi. dro mSvidobisa, 15, 18-64.
 25. DiasamiZe, T. SaqarTvelos regionuli konfliqtebi, politikur-samarTlebrivi aqtebis koleqcia. Tbilisi: regionalizmis kvlevis centri, 2005.
 26. Konfliqtebisa da molaparakebaTa saerTaSoriso kvleviT centri (ICCN). (2014). moZiebulia 6 agvisto, 2019 http://iccn.ge/index.php?article_id=300&clang=1
 27. SaqarTvelos parlamentis uwyebani. (1993). AfxazeTSi ganlagebuli ruseTis sajariso formirebebis Sesaxeb saqarTvelos parlamentis 1993 wlis 25 Tebervis dadgenileba. Tbilisi: saqarTvelos parlamenti. moZiebulia 19 agvisto, 2019 <http://abkhaziajustice.gov.ge/wp-content/uploads/2015/10/174.pdf>

28. The UN Peacemaker. (2006). The UN DPPA Online Mediation Support Tool. Retrieved August 6, 2019, from <https://peacemaker.un.org/>
29. UNOMIG, Georgia. (2009). United Nations. Retrieved August 10, 2019, from <https://peacekeeping.un.org/mission/past/unomig/background.html>
30. Socor, V. (2005). New Group of Georgia's Friends founded. Eurasia Daily Monitor, 2, 26. Retrieved August 10, 2019, from <https://jamestown.org/program/new-group-of-georgias-friends-founded/>
31. McCorley, R. (2016). The 1999-2004 Georgia Border Monitoring Operation and the 2005-2009 Follow-up Projects – lessons learned and potential offerings for future engagement. Baden-Baden: OSCE Yearbook 2015, 2016, 350-355. Retrieved October 29, 2019, from <https://ifsh.de/file-CORE/documents/yearbook/english/15/McCorley-en.pdf>
32. SaqarTvelos sagareo saqmeTa saminstro. (2019). SaqarTvelos sagareo saqmeTa saminstros gancxadeba ruseTis mier saqarTveloSi gaeros sadamkvirveblo misiis gagrZelebaze vetos dadebasTan dakavSirebiT. moZiebulia 19 agvisto, 2019. <http://www.mfa.gov.ge>
33. Джологуа, Д. А. (2018). Геополитические интересы России на Кавказе в период конфликтов в Абхазии и Южной Осетии. Научные ведомости, Т. 45, 2, 379-385. Retrieved October 29, 2019, from <https://cyberleninka.ru/article/n/geopoliticheskie-interesy-rossii-na-kavkaze-v-period-konfliktov-v-abhazii-i-yuzhnoy-osetii>
34. Серый, Н.И. (2014). Роль Российской Федерации в создании и деятельности Смешанной Контрольной комиссии. Вестник Костромского Государственного университета (КГУ) им. Н.А. Некрасова, 2014, 2, 68-71. Retrieved October 29, 2019, from <https://cyberleninka.ru/article/v/rol-rossiyskoy-federatsii-v-sozdanii-i-deyatelnosti-smeshannoy-kontrolnoy-komissii-kak-osnovnogo-instituta-uregulirovaniya-gruzino>
35. Diasamidze, T. (2008). Regional conflicts in Georgia: The Autonomous Oblast of South Ossetia, The Autonomous Republic of Abkhazia (1989-2002). The collection of political-legal acts. Tbilisi: Regionalism Research Centre.
36. DiasamiZe T. SaqarTvelos regionuli konfliqtobi, politikur-samarTlebrivi aqtebis koleqcia. Tbilisi: regionalizmis kvlevis centri, 2008.
37. UN Office of Legal Affairs. (1986). The Vienna Convention on the Law of Treaties (VCLT) and the subsequent Vienna Convention on the Law of Treaties between States and International Organizations or between International Organizations. New York: UNO. Retrieved August 10, 2019, from
38. http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/1_2_1986.pdf

39. KhuciSvili G., AsaTiani, T., berekaSvili, d., mSvidobaZe, r., niJaraZe, g., razmaZe, m., sanikiZe, l., cixisTavi, T., da cixisTavi-xuciSvili, n. (red.). Konfliqtebis mogvareba, molaparakeba, fasilacia, mediacia, mSvidobis mSenebloba, konfliqtebis transformacia mSvidobiani gziT. Tbilisi: konfliqtebisa da molaparakebaTa saerTaSoriso kvleviT centri, 2015.
40. The UN Peacemaker. (2006). The UN DPPA Online Mediation Support Tool. Retrieved August 6, 2019, from <https://peacemaker.un.org/>
41. Хьюман Райтс Вотч. (2009, Январь). На войне как на войне? Нарушения гуманитарного права и жертвы среди гражданского населения в связи с конфликтом вокруг Южной Осетии. United States of America: Human Rights Watch. Retrieved October 29, 2019, from <https://www.refworld.org/cgi-bin/texis/vtx/rwmain/opensslpdf.pdf?reldoc=y&docid=4979843c2>

RUSSIA'S PARTICIPATION IN PEACE AGREEMENTS AND TRACK 1 NEGOTIATIONS OF GEORGIA

**Nina Tsikhistavi-
Khutsishvili**

Georgian Technical University (GTU), Director of the
International Center on Conflict and Negotiation (ICCN)
E-mail: ninatsikhistavi@iccn.ge

*Presented by the Institute of Conflictology and Peace at the Tskhum-Abkhazian
Academy of Sciences*

Abstract. The present article provides a qualitative and quantitative analysis on Russia's role and influence on peace agreements signed in 1990-2008 and Track I (formal) negotiation processes of Georgia. The Article presents modern scientific approaches to the analysis peace agreements and discusses how to evaluate a cascade of peace agreements adopted in the peace process of Georgia for conflict resolution by peaceful means.

The Study reviews Russia's participation, role, and place in the process of peace negotiations of Georgia, as well as peace agreements reached as a result of negotiations. Russia's participation is evaluated as a multi-role and multi-functional dominant, and an asymmetric power, that limited and hindered Georgia's peace processes and its opportunity for conflict resolution, thus empowering Russia's influence on regional and international arenas.

The Article is valuable for field specialists and Government representatives, whose work is directly connected to the peace process of Georgia.

Keywords: *Peace process, Conflict resolution, Peace negotiations, Peace agreements, Mediator.*